მედიახელოვნების ფაკულტეტის დებულება

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში „თსსა“) მედიახელოვნების ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს თსსა-ს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და კვლევებს მედიახელოვნების მიმართულებით.
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის კომპეტენციის სფეროებს, სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.
3. ფაკულტეტი ვალდებულია, შეუქმნას სტუდენტს სათანადო პირობები სწავლისა და
4. დამოუკიდებელი კვლევისათვის, მუდმივად იზრუნოს სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს მიანიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი.
5. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება თსსა წესდებით, წინამდებარე
6. დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.
7. ფაკულტეტი ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიურ პროგრამებს.
8. კანონმდებლობითა და თსსა-ს შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, ფაკულტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს თსსა-ს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, რექტორთან და პრორექტორთან (საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით) კოორდინაციით და მათ მიმართ (კანონმდებლობითა და შიდა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში) ანგარიშვალდებულებით.

მუხლი 2. ფაკულტეტის მართვა

ფაკულტეტს მართავს ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 3. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო წარმოადგენს ფაკულტეტის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომლის შემადგენლობაშიც შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა
3. განსაზღვრულია საბჭოს სრული შემადგენლობის 1/4-ით.

4. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა შერჩევა ხორციელდება თვითმართველობის მიერ ორგანიზებული არჩევნების მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფაკულტეტის ყველა დონის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირს.
5. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს თავჯდომარეობს დეკანი.

მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

თსსა წესდების შესაბამისად ფაკულტეტის საბჭო:

ა) კანცლერს წარუდგენს ინფორმაციას ფაკულტეტის ფინანსური საჭიროებების შესახებ;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;

ზ) უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 5. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანი მოქმედებს ფაკულტეტის სახელით, ხელმძღვანელობს ფაკულტეტს და პასუხისმგებელია მის საქმიანობაზე;
2. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით;
3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ
4. განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე
5. არანაკლებ 1თვით ადრე;
6. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს ფაკულტეტის პროფესორმა ან
7. ასოცირებულმა პროფესორმა.
8. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;

მუხლი 6. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილება

კანონმდებლობისა და თსსა წესდების შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანი:

ა) ხელმძღვანელობს ფაკულტეტს და პასუხისმგებელია მის საქმიანობაზე;

ბ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

გ) ორგანიზებას უწევს ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის, სტრუქტურის და დებულების შემუშავებას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

ვ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ზ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად განსაზღვრავს პრიორიტეტული პროექტების სტრატეგიას მათი განხორციელების მიზნით;

თ) ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით კოორდინირებას უწევს სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის პროცესს;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიის წესდებით, ფაკულტეტის დებულებითა და აკადემიის სხვა აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს.

მუხლი 7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

8. თსსა წესდების შესაბამისად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება;
9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემის ნაწილს.
12. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ა) აკადემიაში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და სწავლების ხარისხის კონტროლს.

ბ) გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წინადადებებს და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

გ) ფაკულტეტის საბჭოსთან პროგრამის ხელმძღვანელებთან და სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან თანამშრომლობით განსაზღვრავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი სამუშაოების პრიორიტეტულ მიმართულებებს.

დ) აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით კოორდინციას უწევს მიმდინარე პროგრამებისა და სილაბუსების მოდიფიცირებას, ახალი სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) შემუშავებას დ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენას.

ე) სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შემოწმების მიზნით აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად მონაწილეობას იღებს პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმების შემუშავებაში.

ვ) პროგრამების განხორციელების ხარისხის დასადგენად მონაწილეობას იღებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.

ზ) პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან ერთად უზრუნველყოფს აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების დოკუმენტის მომზადებას.

თ) პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად გეგმავს სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის შემდგომი განვითარების მიმართულებებს, ახდენს მისი განვითარების პროგნოზირებას.

ი) მონაწილეობას იღებს ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის, სტრუქტურის და დებულების შემუშავებაში ფაკულტეტის დეკანთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად.

მუხლი 8. ფაკულტეტის ძირითადი საშტატო ერთეულები

ფაკულტეტის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტს ემსახურება შემდეგი ძირითადი საშტატო ერთეულები:

1. დეკანის მოადგილე
2. კოორდინატორი
3. წამყვანი სპეციალისტი
4. ფაკულტეტის მდივანი
5. მთავარი სპეციალისტი
6. სპეციალისტი

1. დეკანის მოადგილე:

ა) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგების ანალიზს და რეაგირებას, რომელსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს

ბ) დეკანთან ერთად ორგანიზებას უწევს ფაკულტეტის სამეცნიერო და სასწავლო სტრუქტურის, ფაკულტეტის დებულების და განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელებას

გ) პასუხისმგებელია კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო და საგამოცდო ცხრილების შედგენაზე

დ) უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული და მასწავლებელთა პერსონალის სემესტრული დატვირთვის ბადის შემუშავებას და წარუდგენს მას ფაკულტეტის საბჭოს

ე) ადგენს ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების გაძლიერების საჭიროებებს და ორგანიზებას უწევს შესაბამისი ღონიძიებების ჩატარებას

ვ) უზრუნველყოფს თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის მედიაციას

ზ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას

თ) პასუხისმგებელია უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, ყოველსემესტრულად ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია ფაკულტეტისაკადემიური/სამეცნიერო/მოწვე-ული და მასწავლებელთა პერსონალის შესახებ

ი) მონიტორინგს უწევს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის პროცესს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას დადგენილ ვადებში აწვდის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა სიას

2. კოორდინატორი:

ა) უზრუნველყოფს აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან კორდინირებულ მუშაობას და საჭირო დოკუმენტაციის მიწოდებას.

ბ) აკულტეტის დეკანის მოადგილესთან ერთად კურიკულუმის შესაბამისად ადგენს სასწავლო და საგამოცდო ცხრილებს.

გ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილესთან ერთად უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, ყოველსემესტრულად ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს აწვდის ინფორმაციას ფაკულტეტის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული და მასწავლებელთა პერსონალის შესახებ.

დ) ორგანიზებას უკეთებს სტუდენტებისათვის საგნების არჩევის პროცესს;

ე) უზრუნველყოფს სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ მონაცემების დროულ აღრიცხვა/გადაცემას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის.

ვ) უზრუნველყოფს სტუდენტთ შიდა და გარე მობილობის პროცესში, ამზადებს საჭირო დოკუმენტაციას და გადასცემს სასწალო პროცესის მართვის სამსახურს.

ზ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციაში უზრუნველყოფს კრედიტების აღიარებისა და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის დოკუმენტაციის მომზადებას;

თ) ორგანიზებას უკეთებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო ღონისძიებებს და საჭირო დოკუმენტაციას აწვდის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;

ი) უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩარიცხვის მიზნით გათვალისწინებულ ყველა პროცედურის შესრულებას და საჭირო დოკუმენტაციას აწვდის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

კ) პასუხისმგებელია:

- ყოველსემესტრულად ფრიადოსან სტუდენტთა სიის შედგენაზე (სტიპენდიის დანიშვნის მიზნით) და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურსთვის გადაცემაზე.
- „სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამის“ შესაბამისად, სტუდენტთა ყოველსემესტრული როტაციის პროცესის განხორციელებისათვის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა სიებს შედგენაზე და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურსათვის გადაცემაზე;

3. წამყვანი სპეციალისტი:

ა) სასწავლო პროცესის მართვის საინფორემაციო ელექტრონულ სისტემაში (emis) შეჰყავს შემდეგი ინფორმაცია:

- სასწავლო ცხრილი;

- სასწავლო უწყისები;
- მონაცემები სტუდენტთა შესახებ, მათ შორის ინფორმაცია სტუდენტთა სტატუსის ცვლილების, ასევე კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
- სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

ა) უზრუნველყოფს კურიკულუმთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების ატვირთვას;

ბ) უზრუნველყოფს სტუდენტთა და პედაგოგთა ინფორმირებას ელექტრონული სისტემის მოხმარების წესებისა და რეგულაციების შესახებ.

გ) აღრიცხავს სტუდენტთა სემესტრულ აკადემიურ შედეგებს და გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;

დ) უზრუნველყოფს სტუდენტთა და პედაგოგთა ინფორმირებას შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდების ვადების შესახებ.

ე) აწარმოებს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ელექტრონულ ბაზას;

ვ) აწარმოებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას

4. ფაკულტეტის მდივანი:

ა) აწარმოებს კურსდამთავრებულთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დანართებს, სტუდენტთა ცნობებს, რეკომენდაციებს, ინდივიდუალურ აკადემიურ ბარათებს (სემესტრული ნიშნები) და სხვა საჭირო დოკუმენტებს;

ბ) აწარმოებს სტუდენტთა პირად საქმეებს .

გ) არის ფაკულტეტის საბჭოს მდივანი. აწარმოებს ფაკულტეტის საბჭოს ოქმებს;

დ) არის ფაკულტეტის საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის მდივანი. აწარმოებს დიპლომის დაცვის ოქმებს, ამზადებს ყველა ინფორმაციას დიპლომის დაცვის შესახებ და გადსცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;

ე) აწარმოებს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმას და გადასცემს ადამიანური რესურების მართვის სამსახურს;

ვ) ორგანიზებას უწევს ფაკულტეტის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადინისტრაციული პერსონალის ინფორმირებას (ელ-ფოსტით ან სხვა საშუალებებით) ახალი წესების, რეგულაციების ან მათში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ზ) ფაკულტეტის კოორდინატორთან ერთად:

- ყოველსემესტრულად ადგენს ფრიადოსან სტუდენტთა სიას (სტიპენდიის დანიშვნის მიზნით) და გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.
- „სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამის“ შესაბამისად, სტუდენტთა ყოველსემესტრული როტაციის პროცესის განხორციელებისათვის ადგენს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა სიებს და გადასცემს მას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;

5. მთავარი სპეციალისტი:

ა) მონიტორინგს უწევს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის პროცესს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას დადგენილ ვადებში აწვდის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტთა სიას.

ბ) ადგენს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას და ყოველწლიურად წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

   გ) სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე აწარმოებს კურსდამთავრებულთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დანართებს, ცნობებს, რეკომენდაციებს, ინდივიდუალურ აკადემიურ ბარათებს (სემესტრული ნიშნები) და სხვა საჭირო დოკუმენტებს;

6. სპეციალისტი:
   ა) მონაწილეობას იღებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში და დოკუმენტაციის მომზადების პროცესში;
   ბ) ორგანიზებას უწევს დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან სტუდენტებთან ინტერვიუების და გამოკითხვების პროცესს;
   გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად, მონაწილეობას იღებს სილაბუსების მოდიფიცირებაში და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენაში.
   დ) მონაწილეობას იღებს ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში, ფაკულტეტზე სტუდენტთა პირველადი შესარჩევი კონკურსების ორგანიზებაში.
   ე) კონსულტაციას უწევს სტუდენტს მობილობის დოკუმენტაციის შევსების პროცესში;

მუხლი 9. ფაკულტეტის დამოუკიდებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეული

თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულია „ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტი“. ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ფუნქციონირებისა საქმიანობის წესი განისაზღვრება თსს აკადემიის წესდებითა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით.

მუხლი 10. სტუდენტი

1. სტუნედტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოქმედი ნორმატიული აქტებისა და თსსა წესდების შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.
2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, თსსა წესდებითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
3. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის, თსსა წესდების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით.

მუხლი 11. სტუდენტური თვითმმართველობა

1. სტუდენტების უფლებების დაცვის, ფაკულტეტის მართვასა და სწავლების ხარისხის
2. მონიტორინგში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სტუდენტთა თვითმმართველობა ფაკულტეტის სტუდენტთა შემადგენლობის მიერ ფარული კენჭისყრით თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე.
3. ფაკულტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.
4. სტუდენტური თვითმმართველობა საკუთარი დებულების შესაბამისად:
   ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას ფაკულტეტის და აკადემიის საგანმანათლებლო მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის და წარმომადგენლობით საბჭოში;

დ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტის და აკადემიის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომლებიც წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიურ საბჭოს ან/და რექტორს;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით და თავისი დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. სწავლა და სწავლება

1. ფაკულტეტზე დანერგილია კრედიტების და ტრანსფერების დაგროვების და შეფასების ევროპული სისტემა ECTS.
2. სწავლისა და სწავლების პროცესი და მათთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით.

მუხლი 13. დებულების მიღების, მასში ცვლილება-დამატებების შეტანისა და გაუქმების წესი

1. ფაკულტეტის დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო დეკანთან თანამშრომლობით და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესით.